



აგრო დაზღვევის თავისებურებები ავსტრიასა და საქართველოში

პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

სტუ პროფესორი

არჩილ ცერცვაძე

სტუ პროფესორი

აკაკი ნიკოლაიშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

Nikolaishviliakaki8@gmail.com

DOI:10.36962/ECS106/1-2/2024-80

რეზიუმე

აგრო დაზღვევის ძირითადი ფუნქციებია სასოფლო - სამეურნეო წარმოების ხელშეწყობა და აგრო რისკების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზიანის კომპენსაცია. აგრო დაზღვევა წარმოადგენს ქონების დაზღვევის ქვესახეობას, რომელიც ამცირებს რისკს ფერმერული სექტორისთვის და ასტიმულირებს სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამდენად აგრო დაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის მნიშვნელოვანია. ნაშრომის მიზანია აგრო დაზღვევის თავისებურებების შედარება ორ ქვეყანას შორის. კვლევის ამოცანებია საქართველოს და ავსტრიის აგრო დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, აგრო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: აგრო დაზღვევა, შემოსავლის სტაბილიზაცია, აგრო რისკები, ფინანსური დანაკარგი.

შესავალი

სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია და მომავლის გამოწვევებიდან გამომდინარე უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს. ამ დარგს ახლავს მნიშვნელოვანი რისკები, რომელთა მინიმიზაცია არის საჭირო. აგრო დაზღვევა არბილებს მოსავლის ზარალით გამოწვეულ დანაკარგს.

აგრო დაზღვევის განვითარება დადებითად აისახება მსოფლიო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აგრო დაზღვევა სტაბილურს ხდის ფერმერების შემოსავლებს გრძელვადიან პროცესში. სტაბილური შემოსავალი იწვევს ფინანსური ინსტიტუტების ინტერესს, რაც ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლონ ფინანსური რესურსით და გაიმყარონ სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

წარმოგიდგენთ საქართველოსა და ავსტრიის აგრო დაზღვევის თავისებურებებს.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში აგროდაზღვევის დანერგვის და განვითარების ეტაპები მოკლე პერიოდს მოიცავს. საქართველოს მთავრობის ინიციატივით ამოქმედდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რაც გამოიხატება აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამის შექმნით, რომელიც 2014 წლის სექტემბრიდან ჩაეშვა და სადაზღვეო პრემიის მნიშვნელოვანი ნაწილის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებას გულისხმობს.

საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მცდელობები 12 წელს მოიცავს. ეს

დრო კი, ისეთი რთული სპეციფიკის მქონე დაზღვევის სახეობისთვის, როგორც არის აგრო დაზღვევა ძალიან მცირეა გამართული სისტემის მოსაწყობად. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები კი ამ კუთხით დიდ გამოცდილებას ფლობენ. არაერთი მექანიზმია გამოცდილი ამ დარგის გამართულად ფუნქციონირებისათვის.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აგრო დაზღვევისთვის. მსოფლიოს ნამყვან ქვეყნებში, სადაც აგრო დაზღვევის სისტემა გამართულად ფუნქციონირებს, მოქმედებს თანადაფინანსების პროგრამები და სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული პროცესებში.

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებული სასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის უფლება, შეუძლია აგრო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მონაწილე გახდეს. აუცილებელია, დამზღვევი რეგისტრირებული იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ფერმერს შეუძლია დააზღვიოს, როგორც ერთნაირი ისე მრავალნაირი კულტურები.

პროგრამის ფარგლებში, მაქსიმალური ზედა ზღვარი დაზღვეული მიწის ნაკვეთისა არის 10 ჰექტარი, მარცვლეული კულტურების მაქსიმუმი შეადგენს 50 ჰექტარს. სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში, ფართობი სახელმწიფო პროგრამა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2020 წლმეუზღუდავია.

აგროდაზღვევის ის 10 აპრილის № 236 დადგენილებით „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ასევე არსებობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021 - 2024.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის¹ სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში).

აგრო ზარალების შეფასება ხორციელდება, სადაზღვევო რისკისგან დაზიანებული ფართობების ადგილზე შესწავლით აგრო ექსპერტების მიერ.

აგრო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დანერგვამ საქართველოში, ცალსახად განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა სოფლის მეურნეობა. გამართული სისტემის ჩამოსაყალიბებლად გასავლელი არის განვითარების ეტაპები. აგრო დაზღვევის პროგრამა ახალი პროდუქტია საქართველოსთვის და სჭირდება დრო, რომ მოსახლეობამ გაიაზროს და გაანალიზოს პროდუქტის სიკეთეები. აგრო სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამ სექტორში დასაქმებულებს აუმაღლებს კონკურენტუნარიანობას, შეუმცირებთ რისკებს და შეუნარჩუნებთ შემოსავალს.

ავსტრიის სოფლის მეურნეობის სექტორი ქვეყნის მიწის 34 % - ს გამოიყენებს და 40 % დაფარულია ტყით ამ ქვეყნის რელიეფური მდგომარეობიდან გამომდინარე. ფერმერთა დიდი ნაწილს სარგებლობაში აქვთ 10 ჰექტარზე ნაკლები მიწა.

ავსტრიის სადაზღვევო ინდუსტრია წლების განმავლობაში ვითარდებოდა და ფერმერებს იცავდა მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებული რისკებისგან. მას ფართო და მზარდი (სუბსიდირებული) სასოფლო - სამეურნეო დაზღვევის პროგრამა აქვს.

ავსტრიაში ხელმისაწვდომია შემდეგი რისკების დაზღვევა: სეტყვა, ყინვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, თოვლი, გვალვა. ხანძარი. ასევე რამდენიმე წელია რაც დაინერგა ამინდის ინდექსზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის დაზღვევა.

აგრო სადაზღვევო პოლისის მფლობელები ვალდებული არიან დააზღვიონ მთლიანი წარმოება თითოეულ დაზღვეულ კულტურაზე. გვალვის დაზღვევა ხელმისაწვდომია ყველა მარცვლეული კულტურებისთვის, სიმინდისთვის, კარტოფილისთვის, გოგრისთვის, რომელიც განკუთვნილია ზეთის წარმოებისთვის, სოიოსთვის, მზესუმზირისა და ბარდისთვის, მაგრამ ის მიუწვდომელია შაქრის ჭარხალზე, ვენახებსა და ხილის ბაღებისთვის.

დაზღვევა ფარავს გვალვის ზარალს, თუ სავეგეტაციო პერიოდში ნალექი არის ბოლო 10 წლის საშუალო ნალექების 90 % - ზე ნაკლები, თუ ზედიზედ 30 დღე ნალექი 10 მმ - ზე ნაკლებია ან თუ ჰექტარზე მოსავალი რჩება განსაზღვრულ ზღვრულ მნიშვნელობაზე. გვალვა სერიოზულია რისკია ავსტრიაში და დიდ ყურადღებას აქცევენ ამ რისკის დაზღვევას.

ავსტრიაში მხოლოდ ერთი კომპანია სთავაზობს ფერმერებს სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სოფლის მეურნეობის წარმოების რისკების შესამცირებლად. „ავსტრიული სეტყვის სადაზღვევო კომპანია“ (Österreichische Hagelversicherung), რომელიც არის ორმხრივი მზღვეველი და დაარსდა ავსტრიის სადაზღვევო ინდუსტრიის მიერ 1947 წელს. როგორც ურთიერთ დამზღვევი, ის არ არის ორიენტირებული მოგებაზე.

ავსტრიის ეროვნული მთავრობა სუბსიდირებას უკეთებს სეტყვის დაზღვევის პრემიას ყველა მოსავლისთვის 1995 წლიდან და ყინვის დაზღვევის პრემიას ვაზის კულტურებისთვის და 1997 წლიდან სხვადასხვა სადაზღვევო კულტურებისთვის. სუბსიდია თანაბრად ნაწილდება ფედერალურ და ლანდერის მთავრობებს შორის და შეადგენს 50 % - ს.

თუმცა ავსტრიის ფერმერები არ არიან კმაყოფილი მარტო ამ რისკების დაზღვევით. მათ სურთ წარმოების რისკებთან ერთად დაზღვეული იყოს ფასების რისკიც, რადგან არასტაბილური ფასების გამო ხშირად წარმოების დანახარჯებს ვერ ფარავენ.

დასკვნა

ამრიგად აგრო დაზღვევა არის ის პროდუქტი რომელიც ამ ორი ქვეყნის ფერმერებს აძლევს საშუალებას აინაზღაურონ სტიქიური მოვლენებიდან გამომდინარე დანაკარგები.

როგორც ზემოთ ავლენიშნეთ ორივე ქვეყნის მთავრობა აკეთებს აგრო დაზღვევის სუბსიდირებას. განსხვავებაა ის, რომ საქართველოში სადაზღვევო პრემიის 70 % სუბსიდირდება, ხოლო ავსტრიაში 50 %. საქართველოში ძირითად 4 რისკია დაზღვეული: სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსზე). ავსტრიაში უფრო ფართო სადაზღვევო პაკეტს სთავაზობენ ფერმერებს, იზღვევა შემდეგი რისკები: სეტყვა, ყინვა, ქარიშხალი, წყალდიდობა, თოვლი, გვალვა, ხანძარი.

აღსანიშნავია რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევა 1947 წლიდან ეხმარება ფერმერებს ავსტრიაში სადაზღვევო რისკისგან გამოწვეული ზიანის კომპენსირებაში. საქართველოში ეს პროდუქტი საკმაოდ ახალგაზრდაა და საჭიროებს დროს, რომ უფრო მეტად განვითარდეს და ფერმერებმა გაიაზრონ მისი სიკეთეები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოლუაშვილი პ. „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ თბ. 2020 წ.
2. ცერცვაძე ა. „სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ ჟურნალი ეკონომიკა, 9-10, თბ. 2011 წ.
3. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, ქ. თბილისი, 1997 წ. 2 მაისი;
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება „აგრო დაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ #236 დადგენილება 2020 წლის 10 აპრილი;
5. <http://www.insurance.gov.ge>;
6. <http://www.apma.ge>;
7. <http://ruralaffinity.com.au>;
8. <http://australianreliance.com.au/industry/wa-farmers-insurance-package/>;
9. AWI – Bundesanstalt für Agrarwirtschaft (Federal Institute of Agricultural Economics) (s.a.): IDB Deckungsbeiträge und Kalkulationsdaten (Internet gross margins and data). URL: <http://www.awi.bml-fuw.gv.at/idb/default.html>, retrieved 27.03.2017;
10. Heinschink, K.; Sinabell, F.; Lembacher, F. (2016a): Crop production costs in Austria: Validation of simulated results using farm observations. In: Conference proceedings, 26th Annual Conference of the Austrian Society of Agricultural Economics, Vienna, Austria;

REFERENCES:

1. Koguashvili P. "Agricultural Economics" Tb. 2020.
2. Tsertsvadze A. "Insurance Market Development Trends in Georgia" Journal of Economics, 9-10, Tb. 2011.
3. Law of Georgia on Insurance, Tbilisi, May 2, 1997;
4. Resolution of the Government of Georgia on the Approval of the Agro Insurance Program #236 April 10, 2020 ;
5. <http://www.insurance.gov.ge>;
6. <http://www.apma.ge>;
7. <http://ruralaffinity.com.au>;
8. <http://australianreliance.com.au/industry/wa-farmers-insurance-package/>;
9. AWI - Bundesanstalt für Agrarwirtschaft (Federal Institute of Agricultural Economics) (s.a.): IDB Deckungsbeiträge und Kalkulationsdaten (Internet Total Margins and Data). URL: <http://www.awi.bml-fuw.gv.at/idb/default.html>, retrieved 27.03.2017;
10. Heinschink, K.; Sinabelle, F.; Lembacher, F. (2016a): Crop production costs in Austria: confirmation of simulation results using farm observations. In: Conference Production, 26th Annual Conference of the Austrian Society of Agricultural Economics, Vienna, Austria;

FEATURES OF AGRO INSURANCE IN AUSTRIA AND GEORGIA

Paata Koghuashvili

Doctor of Economic Sciences, GTU Professor

Archil Tsertsvadze

GTU Professor

Nikolaishvili Akaki

PhD student of GTU

RESUME

Insurance is a risk management financial instrument that involves the transfer of risk in whole or in part to an insurance organization. Crop insurance in agriculture is of great importance. Thus, the implementation of the agro insurance program is very relevant and vital for the farmer. Properly managed agricultural reform and the development of agro insurance will contribute to economic growth, country development and the well-being of the population.

The main functions of agro insurance are to facilitate agricultural production and to compensate for the damage caused by the realization of agro risks. Agro insurance is a sub-type of property insurance that reduces risk for the farming sector and stimulates the development of agricultural production. Thus, the implementation of agro insurance is important for the farmer. The purpose of the paper is to compare the peculiarities of agro insurance between the two countries. The objectives of the study are to study the situation in the agro insurance market of Georgia and Austria, to analyze the state agro insurance program.

It should be noted that the governments of both countries subsidize agro insurance. The difference is that 70% of the insurance premium in Georgia is subsidized and 50% in Austria. The main four risks in Georgia are insured: hail, storm, flood, autumn frost (citrus only). In Austria, a wider insurance package is offered to farmers, taking the following risks: hail, frost, storm, flood, snow, drought, fire. It should be noted that agricultural insurance has been helping farmers to compensate for the damage caused by insurance risk in Austria since 1947. In Georgia, this product is quite young only covers 12 years and requires time to develop more and farmers understand its goodies.

Keywords: agro insurance, income stabilization, agro risks, financial loss.